საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ
- საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

- საკითხი - საარჩევნო უფლების განსაზღვრა ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელი პირებისათვის. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება. მოცემული წინადადება წარმოადგენს 2024 წლის 8 იანვარს დარეგისტრირებული (1-22/24) საკანონმდებლო წინადადების (რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე) ერთგვარ გაგრძელებას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მანამდეც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურ პირებთან მიმართებით რამდენიმე საკითხი მაქვს წარმოდგენილი. ხსენებული საკითხი ნამდვილად არ წარმოადგენს რაიმე ახალ მიგნებას, აღნიშნულის თაობაზე საკითხის ინიცირება მცირეოდენ დააყოვნა „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან" საჯარო ინფორმაციის სახით ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების გაცემის სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვის პროცესმა (იხილეთ თანდართული 24 / იანვარი / 2024 წ.834 წერილის ასლი), რომელიც თავის მხრივ ასევე უკავშირდება ჩემს მიერ ხელმეორედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრების პირების საპენსიო უზრუნველყოფას - იხილეთ 18-08-2023 1-11318/23/10 დოკუმენტი)[1]. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება შესაბამისი სტატუსის მქონე პირთა არჩევნებში დაუბრკოლებელი მონაწილეობაზე, განურჩევლად იმისა, თუ მისი მუდმივი საცხოვრებელი შეიძლება იყოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონები, მომზადებულ იქნა ხსენებული წინადადება. თუმცა, არა თუ დარწმუნებული ვარ, ვიმედოვნებ კიდეც, რომ ამ საკითხზე ნამსჯელი აქვთ არაერთ საქართველოს მოქალაქეს (თავისთავად გამონაკლისი არც მე ვიქნები) და სწორედ, ამ განწყობების და აზრთა გაზიარების ფონზე (იანვარ-თებერვალში ჩემი ახლო წრის თანაგანწყობის რამდენიმე განაცხადი იქნება საქართველოს პარლამენტამდე მოტანილი) განსახილველად წარმოდგენილი იქნება მოცემული წინადადება. ხალხის წარმომადგენლობა დემოკრატიის აუცილებელი ნიშანია. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით. კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა. ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის

[1] https://parliament.ge/legislation/26889

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1230/24
06 02 2024 წ. ფურცელი 30

შესაბამისად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში[2] შეიტანება ამომრჩევლის შესახებ შემდეგი მონაცემები: ა) გვარი, სახელი; ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი); გ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, რომელიც მოიცავს აგრეთვე საზღვარგარეთ რეგისტრაციის ადგილს); დ) **საქართველოს მოქალაქის** პირადი ნომერი; ე) ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირისთვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი პირისთვის, აგრეთვე პირისთვის, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით, აღინიშნება დროებითი საცხოვრებლის მისამართი; სხვა სახელმწიფოში მყოფი პირისთვის მიეთითება „საკონსულო აღრიცხვაზეა", ხოლო თუ ასეთი პირი არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე – „იმყოფება უცხოეთში"); ვ) ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი; ზ) ფოტოსურათი (სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული უახლესი ფოტოსურათი ციფრულ ფორმატში); თ) სქესი. ზემოხსენებული ნორმების შესაბამისად, საარჩევნო უფლების მიღმა რჩებიან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირები, რომელთაც - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 11/10/2011 N133 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით მათზე გაიცემა პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან 24 / იანვარი / 2024 წ.834 წერილით მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლიდან 2023 წლის ჩათვლით ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაცემული იქნა აქვს 61-ჯერ, ხოლო 48 თვრამეტ წელს მიღწეული პირი იყო. ამავე პერიოდში, პირადობის ნეიტრალური მოწმობა გაცემული იქნა 316-ჯერ, რომელთაგან 271 სრულწლოვან ასაკს მიღწეული იყო მონაცემთა ცვლილებაც). სამწუხაროდ, არც სახელისუფლებლო ორგანოებს და არც ოპოზიციას არასდროს არ წამოუწევია საკითხი - მათთვის საარჩევნო უფლებების განსაზღვრაზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების გაცემა - 2011 წლიდან დაიწყო (სამი საპარლამენტო არჩევნები იქნა ჩატარებული და მეოთხესთვის ემზადება). პრესასა თუ ღია წყაროებში გავრცელებული ინფორმაციის გათვალისწინებით შემიძლია დავასკვნა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ არა თუ რიგით მოქალაქეებს, არამედ პოლიტიკოსებსაც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები აინტერესებთ (შესაძლოა ლეგიტიმურად მცხოვრებმა პირმა ნაციონალურ მოძრაობაში, ან თუგინდ ქართული ოცნების მიერ გატარებული პოლიტიკით - მხარდაჭერის სურვილი არ გამოხატოს, თუმცა, შესაძლოა მათ ალტერნატივად სხვა პოლიტიკურ სუბიექტს მიაპყრონ ყურადღება). თუგინდ - პატრიოტთა ალიანსის მიერ დაახლოებით 4 წლის წინ აფხაზეთში ხატის ჩაბრძანების ფაქტი აფხაზი პოლიტიკური წრის და საზოგადოების იმ პოლიტიკური მიმღებლობის გამოხატულებად უნდა მივიღოთ, რომელიც მაშინ რიგი ქართული პოლიტიკური პარტიებისადმი გააჩნდათ. ასევე, საყურადრებოა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის სიტყვა - რა დროსაც იგი

[2] ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით

სხდომაზე აღნიშნავს, რომ "ასეთი რამ არ ყოფილა, რომ სოხუმი ბათუმს ჩამორჩენოდა; აქამდეც მივედით..." (თან ერთვის შესაბამისი გადაღებული ვიდეოები). ასეთი დეტალების გაანალიზებით - რა გასაკვირვი იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის/ პირადობის ნეიტრალური მოწმობის მფლობელ პირებს, საქართველოში სამედიცინო მომსახურების მიღების გარდა (და შესაძლოა შემდგომში პენსიის მიღების გარდაც), ასევე, სურდეთ არა მხოლოდ გამოხატონ თავისი ნება საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებულ არჩევნებში, არამედ, საინიციატივო ჯგუფების წარდგინებით ან/და პოლიტიკურმა პარტიებმა თავის საარჩევნო სიებში ჩასვან (შესაბამისად - ცვლილების შეტანის საჭიროება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონშიც დგება) და საქართველოს პარლამენტის წევრად მოგვევლინონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებიც (უდიდესი სიამოვნებით იხილავდა საქართველოს მოსახლეობა მათ, ვიდრე საქართველოს პარლამენტის წევრად მყოფ არაერთ პირს). ჩვენი პოლიტიკური წრეები - მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერით და თანხმობით განიხილავს იმ გადასადგმელ ნაბიჯებს, რომლებმაც ჩვენს ძმებს უნდა დაგვაახლოვოს, მაგრამ - უკრაინის მაგალითზე, ქართველ ხალხს შეუძლია გამოიტანოს ის დასკვნაც, რომ მათ შესაძლოა გეოპოლიტიკური საკითხების გადაჭრა უფრო აინტერესებდეთ, ვიდრე ხალხთა შორის ურთიერთობის და მშვიდობის დროულად აღდგენა. აუცილებელია დროულად გავუგზავნოთ ერთად თანაცხოვრობის სურვილის, თუგინდ ერთი პოლიტიკური საზოგადოების შექმნის გამომხატველი მესიჯი და თუგინდ რამოდენიმე პირის წარმომადგენლობით ორგანოში არჩევით ვაჩვენოთ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ევროინტეგრაციის პროცესი - მათი თანამონაწილეობით განხორციელდება. ამისათვის დროულად უნდა შესატყვისი საკანონმდებლო ცვლილებები[3]. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს/ ხელისუფლების მიერ დემოკრატიულ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის განსაზღვრა (არა მხოლოდ აქტიური, არამედ პასიური საარჩევნო უფლების მოპოვების მხრივ) - ვფიქრობ, რომ წინ გადადგული ნაბიჯი და პოზიტიური მესიჯის მატარებელი იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესისათვისაც. ამასთან, წარმოგიდგენთ იმ ტექნიკურ დეტალებს, რომლის გათვალისწინებითაც ამ მხრივ ხელის შემშლელი გარემოება არ იარსებებს. საგულისხმოა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 02/08/2011 114 ბრძანებით დამტკიცებული პირადობის ნეიტრალური მოწმობის აღწერილობის მე-3 და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ბლანკის აღწერილობის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ქვემოაღნიშნული ნორმები ფაქტობრივად აკმაყოფილებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პროცედურულ მოთხოვნებს, რითაც ზემოხსენებული სტატუსის მატარებელი პირებით ამომრჩეველთა ერთიანი სიის დადგენის მიზნებისათვის ტექნიკური ხასიათის გამოწვევების არარსებობაზე შეიძლება მიუთითებდეს. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ - ამომრჩეველთა ერთიან სიაში ასევე შეიტანება კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე. ამასთან, საქართველოს

[3] სასურველია, რომ ქალაქ სოხუმსაც შესატყვისი სიმბოლური სტატუსი მიენიჭოს (არა დედაქალაქად გამოცხადება, რისი პოტენციალი არც ადმინისტრაციულად გააჩნია, თუმცა, იგი დაუკარგავს იმ არქიტექტურულ სილამაზეს, რომელიც გააჩნია), არამედ - ტურიზმის, კავკასიელ ხალხთა ან თუგინდ მეგობრობის დედაქალაქად მოხსენიება.

საგარეო საქმეთა მინისტრის 23/04/2020 01-72 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, საკონსულო აღრიცხვაზე შეიძლება დადგეს პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირიც (1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი), რომლებიც საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით მოხვდებიან ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

პირადობის ნეიტრალური მოწმობის ბლანკი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:	ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს:
ა) მფლობელის სახელი; ბ) მფლობელის გვარი; გ) მფლობელის დაბადების თარიღი; დ) მფლობელის დაბადების ადგილი; ე) მფლობელის პირადი ნომერი; ვ) მფლობელის ფოტოსურათი, რომელსაც უნდა დაესვას სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის სპეციალური ბეჭედი; კ) გაცემის თარიღი; ლ) მოქმედების ვადა; ზ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება; თ) მოწმობის გამცემი ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა; ი) რელიეფური ბეჭედი; მ) მფლობელის მისამართი.	ა) მფლობელის სახელს; ბ) მფლობელის გვარს; გ) მფლობელის დაბადების თარიღს; დ) მფლობელის დაბადების ადგილს; ე) მფლობელის პირად ნომერს; ვ) მფლობელის ფოტოსურათს; თ) გაცემის თარიღს; ი) მოქმედების ვადას; ზ) მფლობელის სქესს; კ) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერას; ლ) მფლობელის ხელმოწერას; მ) ბეჭედს; ნ) ქვეყნის კოდს; ო) ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერს; პ) ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ინდივიდუალურ ნომერს.

თავისთავად საკითხი ასევე დგება (ცალკეულად) კენჭისყრის შენობის განთავსების მხრივ - ყველაზე მოსახერხებელი იგი საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, უახლოეს დასახლებულ ადგილას იქნებოდა. ლოგიკურია - რომ შეიქმნას ცალკე საარჩევნო ოლქი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის. ამასთან, თუ კომისიის წევრთა ფორმირების პრობლემა თუგინდ თეორიულად არსებობს, მაშინ ისინი მიმაგრებულ უნდა იქნეს ოკუპირებულ ტერიტორორიებთან მდებარე უახლოს კენჭისყრის შენობაზე (დასახლებულ უბანზე). შესაბამისად, ხსენებულ და საარჩევნო უფლებების (პასიური, აქტიური) ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელთათვის მინიჭებასთან დაკავშირებით, უნდა განხორციელდეს, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებები, ასევე, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რომლის შესაბამისად არჩევნებში (როგორც პასიური, ასევე აქტიური) მონაწილეობის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან (პირადობის მოწმობის და პასპორტის მფლობელ პირებთან ერთად) განესაზღვრება პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელი პირებისაც. ასე მაგალითად:

- ⇨ საქართველოს კონსტიტუციაში - 24-ე მუხლის პირველ პუნქტში, საქართველოს ყოველ მოქალაქესთან ერთად, განისაზღვროს (ჩაიწეროს) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ

ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირებიც ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების/ პირადობის ნეიტრალური მოწმობის მფლობელი პირებიც. ამავდროულად, ცვლილებები განხორციელდეს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტსა და 50-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის შესაბამისად პარლამენტის წევრად არჩევის შესაძლებლობა მიეცემათ ზემოხსენებული სტატუსის მქონე პირებსაც. აქვე, გამომდინარე იქიდან, რომ ვფიქრობ, რომ ხსენებულ დოკუმენტებს მოდიფიცირება ესაჭიროებათ, რამაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს მათ სახელწოდებაში ცვლილებების შეტანა (შემდგომში - დამატებითი სამართლებრივი პროცესის თავიდან აცილების მიზნით), სასურველი იქნებოდა ლეგიტიმურად ცხოვრების სტატუსზე აქცენტის გაკეთება;

- ⇨ საქართველოს საარჩევნო კოდექსში, მე-3 მუხლის ა.ა. და ა.ბ. ქვეპუნქტებში, რა დროსაც საქართველოს ყოველ მოქალაქესთან ერთად, აქტიურ და პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა შორის ასევე განისაზღვრება (ჩაიწეროს) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირებიც. ამას გარდა, სასურველია კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში - ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეტანასთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების მკაფიოდ განსაზღვრაც.
- ⇨ საქართველოს საარჩევნო კოდექსითაც შეიძლება განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) მცხოვრებთათვისაც - კენჭისყრის შენობის ან/და საარჩევნო ოლქის ფორმირების/ გახსნის საკითხიც.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]

05/02/2023

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის სტატისტიკა ჩაშლილი დოკუმენტის მფლობელთა ასაკის და სქესის მიხედვით
(შენიშვნა: გამომდინარე იქედან რომ განცხადებაში არ იყო დაზუსტებელი მონაცემთა დამუშავების პერიოდი, დამუშავდა ბოლო 5 წლის მონაცემები)

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი			
წელი	მამრობითი	მდედრობითი	ჯამი
2018	1	3	4
2019	4	1	5
2020	3	1	4
2021	9	9	18
2022	8	10	18
2023	8	4	12
ჯამი	33	28	61

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი			
ასაკი	მამრობითი	მდედრობითი	ჯამი
0	1		1
1	2		2
2	2		2
7		1	1
8	1		1
9		1	1
10		1	1
11	1	1	2
12		1	1
14		1	1
18	1		1
19		2	2
20		1	1
21	1		1
24	3	1	4
25		1	1
26	1	1	2
27	3		3
28	2	1	3
31	1		1
32	1		1

33	1	1	2
34	3		3
36	2		2
37	1		1
38	2	1	3
39		2	2
40		2	2
43		1	1
44		1	1
45	2		2
49		2	2
51		1	1
52		1	1
53	1		1
58	1		1
66		1	1
75		1	1
85		1	1
รวม	**33**	**28**	**61**

პირადობის ნეიტრალური მოწმობის გაცემის სტატისტიკა ჩაშლილი დოკუმენტის მფლობელთა ასაკის და სქესის მიხედვით. (შენიშვნა: გამომდინარე იქედან რომ განცხადებაში არ იყო დაზუსტებელი მონაცემთა დამუშავების პერიოდი, დამუშავდა ბოლო 5 წლის მონაცემები)

პირადობის ნეიტრალური მოწმობა			
წელი	მამრობითი	მდედრობითი	ჯამი
2018	22	39	61
2019	40	29	69
2020	6	15	21
2021	25	26	51
2022	27	32	59
2023	29	26	55
ჯამი	**149**	**167**	**316**

პირადობის ნეიტრალური მოწმობა			
ასაკი	მამრობითი	მდედრობითი	ჯამი
0	7	9	16
1	2	1	3
2	2		2
3	1	1	2
5	1		1
6	1	1	2
7		4	4
8	1		1
9		1	1
10		2	2
11	2	2	4
12	1	2	3
14		1	1
15		1	1
16		1	1
17	2	1	3
18	1	3	4
19	1	9	10
20	1	2	3
21	1	1	2
22		1	1
23		4	4

24	3	3	6
25	1	6	7
26	3	6	9
27	3		3
28	4	4	8
29	3	1	4
30	2	5	7
31	2	4	6
32	1	2	3
33	1	5	6
34	5	4	9
35	2	1	3
36	5	1	6
37	5		5
38	4	4	8
39	6	2	8
40	4	4	8
41	4	2	6
42	5	2	7
43	5	2	7
44	3	2	5
45	4	2	6
46	2	3	5
47	2	4	6
48	3		3
49	1	5	6
50	2	3	5
51	1	3	4

52	3	3	6
53	4		4
54	1	1	2
55	1		1
56	6	3	9
57	4	3	7
58	3	5	8
59	3	2	5
60	3	2	5
61	2	1	3
62	2	2	4
63	3	2	5
64	2	5	7
65	1	1	2
66		2	2
67	1	1	2
71		2	2
72		1	1
76		1	1
79		1	1
82		2	2
ᏗᏕᎾ	**149**	**167**	**316**

საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის სტატისტიკა	
საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის თარიღი	მოხსნილი
1990 წლიდან 2003 წლამდე	2
2003 წლიდან 2013 წლამდე	7537
2013 წლიდან 28/07/2020-მდე	17950
არ არის მითითებული	1227
ჯამი	26716

ინტერპრესნიუსი

bpn.ge	3 თვე	6 თვე
USD	2.6688	2.6648
EUR	2.9042	2.8649
RUB	2.9498	2.9199

ჩანერეთ სა

ინალ არძინბა - ბატონ სააკაშვილს, ამ სულელს, მაპატიეთ გამოთქმისთვის, შურისძიება უნდა, მაგრამ შურისძიება არ იქნება - გამოვიტანოთ დასკვნები და დროულად მივიღოთ სერიოზული გადაწყვეტილებები

საქართველოს საზღვარზე ვითარება შედარებით მშვიდი და სტაბილურია, თუმცა არის საგანგაშო სიგნალები, - „სპუტნიკის" ინფორმაციით, ამის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ განაცხადა.

„ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის ხარჯები არის არსებითი. ეს არის საგანგაშო სიგნალი ჩვენთვის. საგანგაშო სიგნალია იმისა, რომ შეთანხმება აფხაზეთსა და საქართველოს შორის ძალების გამოუყენებლობის შესახებ ჯერ არ გაფორმებულა. საგანგაშო სიგნალია. რომ ქართული რადიკალური შენაერთები უკრაინის ტერიტორიაზე ფაშიზმისა და ნეონაციზმის გვერდით იბრძვიან", - განაცხადა არძინბამ.

მან აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის მსგავსი ადამიანები ელიან ამ შენაერთების საქართველოში დაბრუნებას, რათა დაიბრუნონ ძალაუფლება და ამერიკელების დავალებით, მოაწყონ პროვოკაციები საზღვარზე და გააჩაღონ შეიარაღებული კონფლიქტი.

„ბატონ სააკაშვილს, ამ სულელს, მაპატიეთ გამოთქმისთვის, შურისძიება უნდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, შურისძიება არ იქნება. დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, შევაგროვოთ ყველა საჭირო ოპერატიული ინფორმაცია, ჩვენ ამას ვაკეთებთ. გამოვიტანოთ სერიოზული დასკვნები და დროულად მივიღოთ სერიოზული გადაწყვეტილებები", - დასძინა მან.

ომი უკრაინაში
სრული ინფორმაცია

დღის ბოლო სიახლეები

33 წუთის წინ
ქუთაისი(ქომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის გზის კმ30-კმ33 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია

58 წუთის წინ
აწყური-ვალეს მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია

06.02.2024 / 07:18
აშშ-ის ცენტრალური სარდლობა - იემენში „ჰუსიტების" დრონებს დავარტყით, რომლებიც გარდაუვალ საფრთხეს წარმოადგენდნენ

ყველა სიახლე

ექსკლუზივი

02.02.2024 / 09:18
როგორ ემზადება „საქსტატი" მოსახლეობის საყოველთაო აღწერისთვის და კონკრეტულად, რა კითხვებზე მოუწევთ მოქალაქეებს პასუხების გაცემა - ინტერვიუ გოგიტა თოდრაძესთან

ყველა სტატია

პრესის მიმოხილვა

05.02.2024 / 10:44
მამუკა არეშიძე - "ტრამპი უკრაინის ომს ერთ თვეში ვერ დაამთავრებს და არც დაამთავრებს..."
ახალი პრემიერი ძველი გუნდით
...ააიგო ირაკლი
...აწყვეტილება
...შვილი -
...პარტიები

ერთმანეთს "ოცნების" გარეშეც დახოცავენ"

რას გამოიწვევს ზალუჟნის გადაყენება - უკრაინის ხელისუფლებაში დაწყებული კრიზისი უკვე ფრონტზეც აისახა

გაურკვეველი სიკვდილი - "ამბობენ, "ექსტაზიაო", სინამდვილეში კი კაცმა არ იცის, რას მოიხმარენ..."

ინტერვიუ



03.02.2024 / 10:08

ზურაბ ბატიაშვილი - ყველა ხვდება, რომ თუ პუტინმა გაიმარჯვა, ის უკრაინაზე არ შეჩერდება და სხვა ევროპულ ქვეყნებსაც შეუქმნის საფრთხეს

ყველა სტატია

იუსტიციის
სამინისტრო

ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 24ა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 405 087
info@justice.gov.ge

24 / იანვარი / 2024 წ.

KA010184955659424

№ 834

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს
ელფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი № 01/37085; № 01/36927; № 01/36806; №01/36610; №01/37531; №01/356 მომართვების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 26 დეკემბერს №4137 განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, პირის საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ ინფორმაცია აისახება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონულ სისტემაში (პროგრამაში). შესაბამისად, აღნიშნული პერიოდიდან სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ ფიქსირდება ინფორმაცია საკონსულო აღრიცხვის თაობაზე. ცვლილება შესაძლებელია, იხილოთ ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4375461?publication=0.

ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლებელია, იხილოთ „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის, პირადი ნომრის მინიჭების, პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, გაცემის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 11 ოქტომბრის № 133 ბრძანებაში (https://matsne.gov.ge/ka/document/view/1488682?publication=6).

№ 01/36806 განცხადებით მოთხოვნილი საკითხები მოწესრიგებულია „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 508 დადგენილებით. ზემოაღნიშნული დადგენილება ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/1549273?publication=25; „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით – https://matsne.gov.ge/ka/document/view/1524714?publication=9; „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 17 მაისის №74 ბრძანებით – https://matsne.gov.ge/document/view/1655641?publication=1.

საჯარო ინფორმაციის რეესტრთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, მათ შორის, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი განცხადებებისა და მათზე განხორციელებული რეაგირების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ როგორც საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, ისე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტები ელექტრონული ფორმით ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „საქართველოს საკანონმდელო მაცნეს“ ვებგვერდზე. შესაბამისად, № 01/37531 განცხადებით მოთხოვნილი ნორმატიული აქტები შესაძლებელია, იხილოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე – https://matsne.gov.ge/.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია გეგზავნებათ დანართების (3 დანართი) სახით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სალომე რთველაძე

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№236/4

2023 წელი, 24 მარტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, განიხილოს საქართველოს მოქალაქე დავით მეზაღიშვილის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით (N1-3977/23; 20.03.2023) და გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი

ყველაფერი ერთ სივრცეში



ნეიტრალური დოკუმენტი

იუსტიციის სახლი

რა არის ნეიტრალური დოკუმენტი?

ნეიტრალური დოკუმენტი არის ჰუმანიტარული ხასიათის საბუთი, რომელიც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობას სოციალური სერვისების მიღებისა და საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს. იგი ნეიტრალურია მოქალაქეობის მიმართ და არ შეიცავს საქართველოს სახელმწიფოსთან ან მთავრობასთან დაკავშირებულ რაიმე სახის სიმბოლიკას.

ნეიტრალური დოკუმენტები ორი სახისაა:

- პირადობის ნეიტრალური მოწმობა;
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

რა არის პირადობის ნეიტრალური მოწმობა?

პირადობის ნეიტრალური მოწმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მფლობელს უფასო სოციალური მომსახურებების მიღებისა და შემდეგი უფლებების გამოყენების საშუალებას აძლევს:

- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება;
- უფასო/თანადაფინანსებული ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობა;
- საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური და სხვა პროექტების განხორციელებისათვის გრანტის მიღება;
- სხვა სოციალური შეღავათებით სარგებლობა.

პირადობის ნეიტრალური მოწმობა შედგენილია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ენებზე და მისი აღება ნებაყოფლობითია.

რა არის ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც ზემოთაღნიშნული სარგებლის გარდა მფლობელს დამატებით საზღვარგარეთ თავისუფლად გამგზავრების საშუალებას აძლევს.

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და მისი აღება ნებაყოფლობითია.

ვის შეუძლია აიღოს ნეიტრალური დოკუმენტები?

პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის აღება შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას ან მის შთამომავალს, რომელიც 1992 წლის 31 დეკემბრის მომენტისათვის აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონში ცხოვრობდა და რომელსაც არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა.

სად შეიძლება ავიღო ნეიტრალური დოკუმენტები?

ნეიტრალური დოკუმენტების აღება შესაძლებელია ნებისმიერ იუსტიციის სახლში.

ვის შეუძლია განაცხადის გაკეთება?

- დოკუმენტის აღების მსურველ პირს პირადად;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე მესამე პირს;
- არასრულწლოვანი ან ქმედუუნარო პირის შემთხვევაში - მის ერთ-ერთ მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს (16 წლამდე არასრულწლოვანზე ან ქმედუუნარო პირზე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისათვის აუცილებელია ორივე მშობლის თანხმობა);
- ვებ-გვერდზე www.house.gov.ge ონლაინ რეჟიმში დოკუმენტის აღების მსურველ პირს.

წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

1. პირადობის დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

- ყოფილის სრკ-ს სიმბოლიკიანი პასპორტი;
- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ტერიტორიაზე მოქმედი დე-ფაქტო ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ გაცემული დაბადების ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობა;
- 18 წლამდე პირებისთვის, ასევე 1992 წლის 31 დეკემბრის შემდგომ დაბადებული პირების შემთხვევაში - დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი, მათი მშობლის/კანონიერი მეურვის ზემოთ მოყვანილ ნებისმიერ დოკუმენტთან ერთად;
- პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

2. ერთი ფოტოსურათი ზომით 3,5x4,5 სმ (დაბეჭდილი და ელექტრონული ფორმით);

3. დოკუმენტის გაცემისთვის დაწესებული საფასურის ქვითარი.

იმ შემთხვევაში თუ პიროვნება უკვე ფლობს პირადობის ნეიტრალურ მოწმობას, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა მის საფუძველზე.

მომსახურების ღირებულება:

პირადობის ნეიტრალური მოწმობა - 10 ლარი;
ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი - 35 ლარი.

ფოტოსურათის გადაღება და მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია ადგილზე, იუსტიციის სახლში.
დოკუმენტები გაიცემა განაცხადის შეტანიდან 10 სამუშაო დღეში.

რა ხანგრძლივობით გაიცემა აღნიშნული დოკუმენტები?

18 წელს ზემოთ პირებისათვის:

პირადობის ნეიტრალური მოწმობა- 5 წლის ვადით;
ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი - 10 წლის ვადით;

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი 18 წლამდე პირებზე - 3 წლის ვადით;

ვადის ამოწურვის შემთხვევაში გაიცემა ახალი პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელის შესახებ ინფორმაცია დაცულია.

ნეიტრალური დოკუმენტების თაობაზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი www.house.gov.ge ან დაუკავშირდით იუსტიციის სახლის ცხელ ხაზს ნომერზე:



2 405 405
www.house.gov.ge
info@house.gov.ge
www.facebook.com/publicservicehall

RE: საჯინფო ნეიტრალური

Info <info@justice.gov.ge>
Wed 12/13/2023 10:41 AM
To: [redacted]

მოგესალმებით,

თქვენი განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიღებულია რეგისტრაციაში ნომრით N01/36927, 13.12.2023.

პატივისცემით,

From: [redacted] [mailto: [redacted]
Sent: Wednesday, December 13, 2023 1:46 PM
To: Info <info@justice.gov.ge>
Subject: საჯინფო ნეიტრალური

რეგნომ

საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს საჯარო ინფორმაციის
გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N
[redacted]. ელ. ფოსტა
[redacted] მობ [redacted]

განცხადება

მოგმართავთ თხოვნით მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია

1. პირადობის ნეიტრალური მოწმობის გაცემის და გაუქმების მონაცემები (წლების, შესაძლებლობიდან გამომდინარე სქესის და ასაკობრივი ჯგუფის გამიჯვნით)
2. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის და გაუქმების მონაცემები (წლების, შესაძლებლობიდან გამომდინარე სქესის და ასაკობრივი ჯგუფის გამიჯვნით)
3. შესაძლებელია თუ არა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცეს პირადობის ნეიტრალური მოწმობის მიღების გარეშე
4. მოითხოვს თუ არა ხსენებული დოკუმენტები ბიომეტრული მონაცემების შეგროვებას
5. შესაძლებელია თუ არა ხსენებული დოკუმენტების მისაღებად დისტანციურად (მინდობილობით, ვებ გვერდის ან სხვა საშუალებით) უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა.

14/12/2023

Fw: საჯინფო - ნეიტრალური

[redacted] <[redacted]>
Mon 12/11/2023 5:16 PM
To:press@smr.gov.ge <press@smr.gov.ge>;info@smr.gov.ge <info@smr.gov.ge>

1 attachments (572 KB)
შერიგება.pdf;

გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

From: [redacted] <[redacted]>
Sent: Saturday, December 9, 2023 8:00 AM
To: press@smr.gov.ge <press@smr.gov.ge>
Subject: საჯინფო - ნეიტრალური

რეგნომ

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N
[redacted] ელ. ფოსტა
[redacted]

განცხადება

მიმდინარე წლის 1 მაისს დარეგისტრირებულ ჩემს განცხადებასთან და თქვენს 02/06/2023 943 წერილთან დაკავშირებით, გთხოვთ, დამატებით მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია (პუნქტობრივად, პუნქტების დაცვით) შემდეგ კითხვებზე:

1. როგორც 02/06/2023 943 წერილში აღინიშნა, ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს, იგი 2012-2013 წლებში აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: აშშ, იაპონია, ისრაელი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი და უნგრეთი. აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, მაცნობოთ მიდის თუ არა რომელიმე ქვეყანასთან კვლავ აქტიური მუშაობა ხსენებული დოკუმენტის აღიარებაზე, და თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ საიდუმლოს არ წარმოადგენს რომელთან?
2. რომელი უცხო სახელმწიფოს ანალოგიური დოკუმენტები იქნა შესწავლილი ზემოხსენებული დოკუმენტების შემუშავებისას ან შემდგომ პერიოდში?
3. იმ შემთხვევაში თუგინდ გაგაჩნიათ, თუგინდ არაოფიციალური ინფორმაცია ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტით საზღვარგარეთ გამგზავრების ფაქტის შესახებ გთხოვთ ასევე მაცნობოთ (2012-წლიდან დღემდე, ცალ-ცალკე მაჩვენებელი თითოეულ წელიწადს) - ასევე დანიშნულების ადგილი?
4. არის თუ არა გაფორმებული საქართველოს საერთაშორისო შეთანხმება, რომლითაც ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირებს უმარტივდებათ საზღვარგარეთ გადაადგილება, სავიზო რეჟიმი ან ყოფნის პირობები, დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, თუ თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ საიდუმლოს არ წარმოადგენს, შეთანხმების სახელწოდება?
5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რა უფლებებით და პრივილეგიებით სარგებლობს ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირი?

09/12/2023

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 943
02/06/2023

943-1-2-202306021431

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

მცხ.: [redacted]
ტელ.: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 1 მაისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების განახლების პროცესი, რის შედეგადაც დებულების ცალკეული მუხლები, მათ შორის აპარატის უფლებამოსილების ნაწილში ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით.

რაც შეეხება ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს, იგი 2012-2013 წლებში აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: აშშ, იაპონია, ისრაელი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი და უნგრეთი.

პატივისცემით,

ზვიად ზვიადაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა დეპარტამენტი

0134 თბილისი, ინგოროყვას ქ. 7 0134 Tbilisi, Ingorokva str. 7 ტელ./Tel.: (995 32) 292 18 91, ფაქსი/Fax: 292 16 50

საჯარო ინფო

[redacted] <[redacted]>

Sat 4/29/2023 11:47 PM

To:press@smr.gov.ge <press@smr.gov.ge>

1 attachments (87 KB)

შერიგების სამინისტროდან საჯარო ინფო-signed.pdf;

გთხოვთმ მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

შერიგებისა და სამოქალაქო
თანასწორობის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატის
საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted].
[redacted] ტელ.: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გავეცანი რა თ ქვენს ვებ გვერდს, მასში მოცემულია აპარატის უფლებამოსილების ფარგლები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა და ლტოლვილთა და მათ შთამომავალთა უსაფრთხო, უპირობო და ღირსეული დაბრუნების, უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება;

გთხოვთ, საჯარო ინფორმაციის სახით მომაწოდოთ მომაწოდოთ პასუხები შემდეგ კითხვებზე.

- უსაფრთხო, უპირობო და ღირსეული დაბრუნების, უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები (მოკლე ანოტაცია), რომელიც შემუშავდა 2008 წლიდან დღემდე (მექანიზმების შემუშავების პერიოდი მიეთითოს). მოცემულ კითხვაში არ იგულისხმება არ მოიცავს დიპლომატიურ ინსტრუმენტებს და მეტწილად საერთაშორისო/ სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის შედეგად, რომ დგება შედეგები;
- არის თუ არა გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი პირებისათვის;
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის და ნეიტრალური პირადობის მოწმობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთაც ხსენებული სამგზავრო დოკუმენტი აღიარეს (აღიარების თარიღის მითითებით).

გთხოვთ, საპასუხო ინფორმაცია მომაწოდოთ ელ. ფოსტაზე [redacted]

მთავარი :: სიახლე:

21 მარტი 2014 | გაზიარება:

ადმინისტრაციულ საზღვარზე საკონსულტაციო ქართულ-აფხაზური ცენტრი - რას წერენ ჩვენზე

21 მარტი, 2014 წელი

რადიო "ათინათი"

მდინარე ენგურის ხიდზე მდებარე ადმინისტრაციული საზღვრის გამშვებ პუნქტთან შესაძლოა „საინფორმაციო-საკონსულტაციო ქართულ-აფხაზური ცენტრი" დაარსდეს. ცენტრის შექმნის იდეა კავშირმა „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრმა (ICCN) ერთად შეიმუშავა. 21 მარტს, ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში პროექტის იდეა არასამთავრობო ორაგნიზაციების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს გააცნო კავშირ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" თავმჯომარემ რევაზ ბენდელიანმა.იგი აღნიშნავს, რომ თავისუფალი სივრცის არსებობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ,როგროც ქართული ასევე აფხაზური მხარისთვის.

ნახილეთ მეტი:

მიმართულებები:

- ძირითადი მიმოხილვა
- სამშვიდობო პროცესები
- სამშვიდობო განათლება
- სამშვიდობო ხელშეკრულებების კოლექცია
- კონფლიქტების თავიდან აცილება
- მდგრადი მშვიდობა
- საქართველოს საისტორიო არქივი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის საქმეში

დაკავშირება:

საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. #5
+995 (32) 2999987
iccn@iccn.ge

GPPAC მშვიდობის მშენებელთა ქსელი